ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა # 2
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 12 იანვარი 2015

ერთის მხრივ, შ.პ.ს. ,,თეგეტა მოტორსი'' (შემდგომში – „შემსრულებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, თემურ კოხოძის სახით, და მეორეს მხრივ, შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი", წარმოდგენილი დირექტორის, გრიგოლ რუხაძის სახით (შემდგომში – „დამკვეთი"), სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ,,შემსრულებელი'' კისრულობს ვალდებულებას, უზრუნველყოს დამკვეთის კუთვნილ ავტომანქანაზე (VW JETTA, LK-700-CG) ავტოტექმომსახურების გაწევა და სათადარიგო ნაწილების მიწოდება (CPV კლასიფიკატორის კოდი 50100000, CPV კლასიფიკატორის კოდი 34300000, CPV კლასიფიკატორის კოდი 31400000), ხოლო „დამკვეთი" კისრულობს ვალდებულებას აანაზღაუროს გაწეული მომსახურების და მიწოდებული საქონლის ღირებულება სრულად.

1.2. საქონლის მიწოდება/მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3000,00 (სამი ათასი ლარი 00 თეთრი) ლარს.

2.2. გასაწევი ავტოტექმომსახურების და მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეიცავს ,,შემსრულებლის'' ყველა ხარჯს, მათ შორის საქონლის და მომსახურების ღირებულებას, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, სახდელს, მოსაკრებელს, გაჟს, მათ შორის დღგ–ს.

3. ანგარიშსწორება

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა, „შემსრულებლის" მიერ მიწოდებული საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

4.1. „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს „დამკვეთისათვის" ავტოტექმომსახურების გაწევა/საქონლის მიწოდება 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

4.2. „დამკვეთი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „შემსრულებელს"' გაწეული ავტოტექმომსახურების/მიწოდებული საქონლის სრული ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულების მე–3–ე მუხლით დადგენილი პირობებით და ვადაში.

5. გარანტიები

5.1. „შემსრულებელი" გასცემს გარანტიას შეცვლილ სათადარიგო ნაწილებზე და მომსახურებაზე 6 (ექვსი) თვის ვადით (გარდა ცვეთადი ნაწილებისა).

5.2. თუ საგარანტიო პერიოდში ნაწილი ან/და მომსახურება აღმოჩნდება დეფექტის მქონე, „შემსრულებელი" ვალდებულია „დამკვეთისაგან" აღნიშნულის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში